საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-788

25/09/2018

ქ. თბილისი

სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის''ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში სოფელ შინდისის მიმდებარედ ორჯაჭვა 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „სოლოლაკი 1,2“-ს მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში სოფელ შინდისის მიმდებარედ ორჯაჭვა 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „სოლოლაკი 1,2“-ს მშენებლობაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, დაგეგმილია ორჯაჭვა 35კვ ელექტროგადამცემი ხაზის „სოლოლაკი 1,2“-ს მიერთება ქვესადგურ „შინდისთან“.

პროექტის განსახორციელებლად ქ/ს „შინდისი“-ში ეგხ-ს შესვლა/გამოსვლა დაიგეგმა მიწისქვეშა საკაბელო ხაზით. რისთვისაც საჭირო გახდა №15 და №16 ანკერულ ანძებს შორის, ერთი ახალი ორჯაჭვა Y35-2 ტიპის საყრდენის - №15ა-ს მოწყობა. შესაბამისად, არსებული №15 ანძიდან ქ/ს „შინდისი“-ს გავლით, №15ა ანძამდე განთავსდება მიწისქვეშა საკაბელო ხაზი, ტრასის სიგრძით 34 მ. №15ა ანძიდან №16 ანძამდე, ფაქტიურად ძველი ხაზის მიმართულებაზე განთავსდება 195 მეტრი საჰაერო ეგხ.

საჰაერო და მიწისქვეშა საკაბელო ეგხ-ები განთავსდება სოფ. შინდისის მიმდებარედ. უახლოესი საცხოვრებელი სახლი საპროექტო №15ა ანძიდან დაშორებულია 150მ-ზე მეტი მანძილით, ხოლო ეგხ-ს სხვა მონაკვეთებთან მიმართებით, უფრო მეტია მანძილი. როგორც წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, საპროექტო ეგხ არ სცილდება, არსებული ბუფერული ზონის საზღვრებს. შესაბამისად არ ხდება ისეთი ტერიტორიების ათვისება, რომლებიც ამჟამად არ იმყოფებიან ზემოქმედების ქვეშ. პროექტი ითვალისწინებს არსებული ბუფერული ზონის ფარგლებში, მხოლოდ მცირე მიწისქვეშა საკაბელო მონაკვეთის განთავსებას და ახალი №15ა ანძის მონტაჟს. არსებული №15 და №16 ანძები დარჩება უცვლელად.

სამუშაოები განხორციელდება მიახლოებით სამი კვირა სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა''-ს თანამშრომლების მიერ. შესაბამისად, არ არის დაგეგმილი სამშენებლო ბანაკის მოწყობა.

საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. საპროექტო ეგხ-ს გზაზე არ გვხვდება ხე-მცენარეები, რაც

გამორიცხავს საქმიანობის განხორციელებით გამოწვეულ მცენარეულ საფარზე რაიმე ზემოქმედებას.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ემისიებს და ხმაურის გავრცელებას ადგილი ექნება მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე. მცირე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი მტვერი და ხმაურით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, შესაბამისად, ზემოქმედების მასშტაბები იქნება უმნიშვნელო.

პროექტი არ ითვალისწინებს ზედაპირული წყლის ობიექტის გადაკვეთას, შესაბამისად დაბინძურების რისკი არ არსებობს.

პროექტის განხორციელების არეალში არ ფიქსირდება სხვა სამრეწველო ობიექტები, შესაბამისად, მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.
დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობისას წარმოქმნილი მცირე რაოდენობის (საქმიანობის მასშტაბიდან გამომდინარე) სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. აგრეთვე მშენებლობის ეტაპზე, თხრილების გაყვანის დროს წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი, რომელიც განთავსდება თხრილთან, ნაწილი (ეგხ-ს კაბელის განთავსებამდე) გამოყენებული იქნება ტექნიკური რეკულტივაციის მიზნით, ხოლო დანარჩენი შემდეგ, გამოყენებული იქნება თხრილის ამოსავსებად. რაც შეეხება უმნიშვნელო რაოდენობით წარმოქმნილ მიწის ნაყოფიერ ფენას, განთავსდება კანონმდებლობის სრული დაცვით, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდეგ გამოყენებული იქნება იმავე ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.

ვინაიდან, დაგეგმილი პროექტი არსებული ბუფერიდან არ გადის და პროექტის განხორციელება მისი მასშტაბის სიმცირის გათვალისწინებით იქნება უმნიშვნელო, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით და ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე და ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (07.12.2017 N 1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის'' მიერ ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში სოფელ შინდისის მიმდებარედ ორჯაჭვა 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „სოლოლაკი 1,2“-ს მშენებლობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა'' ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის

შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის'' მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მთაწმინდის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი

გაცნობებთ, რომ ,,გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №17 დადგენილების შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (დანართი №3) მე-2 პუნქტის თანახმად, „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში''-ს მომზადების ვალდებულება ვრცელდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელ იმ საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდება სტაციონარული ობიექტის მეშვეობით და რომელიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

იქიდან გამომდინარე, რომ 35 კვ ძაბვის ეგხ „სოლოლაკი 1,2“-ს მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაფრქვევას ადგილი ექნება მშენებლობისთვის საჭირო მანქანა-მექანიზმებიდან, რომლებიც წარმოადგენენ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების არასტაციონალურ (მოძრავი) წყაროებს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქმიანობა არ საჭიროებს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში''-ს მომზადებას.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №17

2014 წლის 3 იანვარი

ქ.თბილისი

გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 და 25-ე მუხლების საფუძველზე:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი (დანართი 1);

ბ) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი (დანართი 2);

გ) ტექნიკური რეგლამენტი ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის (დანართი 3);

დ) ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების ფორმა (დანართი №4);

ე) საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურების ტექნიკური რეგლამენტი (დანართი №5).

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 12.03.2015წ.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №244 – ვებგვერდი, 24.05.2018წ.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2008 წლის 13 ნოემბრის №745 ბრძანება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

დანართი №1

საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი

1. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება ყველა იმ საწარმოო და არასაწარმოო ობიექტებზე, რომლებიც ახორციელებენ ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებას და რომელთა საქმიანობაც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 იანვრის დადგენილება №22 – ვებგვერდი, 26.01.2018წ.

2. საწარმოო და არასაწარმო ობიექტების ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვების ტექნიკური რეგლამენტი დგინდება ჩამდინარე წყალში შესაბამისი ინგრედიენტისათვის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის განსაზღვრით და მდგომარეობს შემდეგში:

ინგრედიენტი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია

	ჩამდინარე წყალში
შეწონილი ნაწილაკები	60 მგ/ლ
ჟბმ (ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება)	25 მგ 02/ლ
ჟქმ (ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება)	125 მგ 02/ლ
საერთო ფოსფორი	2 მგ/ლ
ნავთობპროდუქტები*	5,0 მგ/ლ
საერთო აზოტი	15 მგ/ლ
დეტერგენტები (სზან)	2,0 მგ/ლ
ცხიმები	5 მგ/ლ
ფენოლები	0,1 მგ/ლ
ქრომი **(Cr+6)***	0,1მგ/ლ
ნიკელი **(Ni+2)***	1,0 მგ/ლ
თუთია **(Zn+2)***	4,0მგ/ლ
ტყვია **(Pb+2)***	1,0 მგ/ლ
კალა **(Sn+2)***	2,0 მგ/ლ
რკინა საერთო*	2,0 მგ/ლ
სპილენძი **(Cu+2)***	3,0 მგ/ლ
ფორმალდეჰიდი	0,05 მგ/ლ
pH	6,5-8,5
ტემპერატურა	ჩაშვებული ჩამდინარე წყლის ტემპერატურამ არ უნდა მოიმატოს 5^0 C მეტად ზედაპირული წყლის ობიექტის ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ცხელი თვის წყლის საშუალოთვიურ ტემპერატურასთან შედარებით

3. მე-2 პუნქტში მოყვანილ ცხრილში ნიშანი - *-ით აღნიშნული ინგრედიენტების ჩაშვების პირობები არ ვრცელდება იმ წყალმოსარგებლეებზე (პროფილისა და წარმადობის მიუხედავად), რომელთა ჩამდინარე წყლები ჩაედინება ზედაპირული წყლის ობიექტში ან წყლის ობიექტის გარკვეულ მონაკვეთზე, რომელიც განსაზღვრულია როგორც დაცული ზონა, ანუ რომელიც:

ა) განკუთვნილია წყალაღებისთვის მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით;

ბ) განკუთვნილია ეკონომიკურად მნიშვნელოვანი წყლის მობინადრეების სახეობების დაცვისათვის;

გ) განკუთვნილია მოსახლეობის დასვენებისათვის.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წყალმოსარგებლე ვალდებულია ჩამდინარე წყლის ხარისხი მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობით დადგენილ ზედაპირული წყლის ობიექტებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებთან.

5. ზედაპირული წყლის ობიექტებში არ შეიძლება ჩაშვებულ იქნეს ისეთი დამაბინძურებელი ნივთიერებები, რომელთათვისაც არ არის დადგენილი ზედაპირული წყლის ობიექტებში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, ან არ არსებობს ანალიტიკური კვლევის მეთოდები.

6. ზედაპირული წყლის ობიექტებში დაუშვებელია გაუწმენდავი ან არასაკმარისად გაწმენდილი და ინფექციური დაავადებების გამომწვევების შემცველი ჩამდინარე წყლების ჩაშვება.

7. ამ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №244 – ვებგვერდი, 24.05.2018წ.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №244 – ვებგვერდი, 24.05.2018წ.

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური რეგლამენტი

1. ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ყოველი ამოღებისას ცალკეული წყალმოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, თუ იგი ახორციელებს სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორით“ განსაზღვრული ეკონომიკური საქმიანობების ჩამონათვალით გათვალისწინებულ საქმიანობას და რომლის საქმიანობაც არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, ვალდებულია, შეიმუშაოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების პროექტი, რომელსაც ითანხმებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილი პირი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი. ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ინფორმაციას შეთანხმებული „ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების“ თაობაზე აწვდის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

2. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების შეთანხმების ვალდებულება აგრეთვე ვრცელდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, გარემოსდაცვითი ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) მფლობელ პირზე, რომელსაც საქმიანობაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (გარემოზე ზემოქმედების ნებართვის, გარემოსდაცვითი ნებართვის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის) გაცემის შემდგომ ეცვლება წყალაღების პირობები ან ესაჭიროება ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღება ისე, რომ არ იცვლება საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგია ან/და ექსპლუატაციის პირობები.

3. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობები დგინდება არა უმეტეს 5 წლის ვადით, ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური პარამეტრების, წყალმოსარგებლის საქმიანობის სფეროსა და გამოყენებული წყლის ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების პირობების გათვალისწინებით.

4. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების ფორმა განსაზღვრულია დანართ №4-ით.

5. საკუთრების ნებისმიერი ფორმით არსებული წყალსამეურნეო სისტემიდან წყლის ამოღების პირობები განისაზღვრება აღნიშნული სისტემის მფლობელთან შეთანხმებით.

6. უფლებამოსილ პირთან ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების შეთანხმებული ტექნიკური პირობები გაუქმებულად ჩაითვლება ტექნიკური პირობების მოქმედების ვადის გასვლის ან ამ ტექნიკური

რეგლამენტის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების/პირობების არსებობის შემთხვევაში.

7. შეთანხმებული ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების გაუქმების საფუძველია:

ა) წყალმოსარგებლის შესაბამისი წერილობითი მიმართვა;

ბ) თუ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ინსპექტირებისას დადგინდა, რომ ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება წყალმოსარგებლის მიერ ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების შეთანხმებისას წარდგენილ ინფორმაციას, კერძოდ, შეცვლილია წყლის აღების წერტილი ან/და გაზრდილია ამოღებული წყლის ოდენობა;

გ) წყალმოსარგებლის მოთხოვნის შემთხვევაში – თუ ხდება ამოღებული წყლის ოდენობის გაზრდა ან/და წყალაღების წერტილის შეცვლა.

8. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის მიერ ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების გაუქმების შესახებ წყალმოსარგებლეს უნდა ეცნობოს 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. წყალმოსარგებლის მიერ ობიექტის გასხვისების ან სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების მფლობელმა ობიექტის გასხვისებიდან ან სარგებლობაში გადაცემიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების შეთანხმებაზე უფლებამოსილ პირს.

დანართი №3

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 იანვრის დადგენილება №22 – ვებგვერდი, 26.01.2018წ.

ტექნიკური რეგლამენტი

ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის

1. ტექნიკური რეგლამენტი ვრცელდება ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ ყველა საქმიანობაზე, რომელიც ხორციელდება სტაციონარული ობიექტის მეშვეობით, გარდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობებისა.

2. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი იმ საქმიანობისთვის, რომელიც ხორციელდება სტაციონარული ობიექტის მეშვეობით და რომელიც არ ექვემდებარება გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას, სავალდებულოა შემუშავდეს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“, გარდა „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 4^1 მუხლით განსაზღვრული საქმიანობების განმახორციელებელი ობიექტებისა.

3. ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი სტაციონარული ობიექტის ინსპექტირებისას მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი მნიშვნელობები განისაზღვრება ინსტრუმენტული გაზომვის ან/და საანგარიშო მეთოდის საფუძველზე, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების

თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №435 დადგენილების შესაბამისად და მიღებული შედეგები შეედარება „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებისა და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშში“ წარმოდგენილ შესაბამის მონაცემებს.

4. „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №42 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 4^1 მუხლით განსაზღვრული საქმიანობების განმახორციელებელი ობიექტებისთვის, რომლებიც განთავისუფლებულები არიან „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის“ შემუშავებისგან და აგრეთვე იმ ობიექტებისთვის, რომლებსაც ამავე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის თანახმად ესაჭიროებათ, მაგრამ არ აქვთ შემუშავებული ეს დოკუმენტი, ტექნიკური რეგლამენტით დგინდება ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების სტაციონარული ობიექტის ცალკეულ გაფრქვევის წყაროში (მილში) მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომლებიც უნდა შედარდეს ინსტრუმენტული გაზომვის ან/და საანგარიშო მეთოდის შედეგად მიღებულ შესაბამის მნიშვნელობებს.

5. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული ობიექტის ცალკეულ გაფრქვევის მილში მავნე ნივთიერების გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობა (C_g,მგ/მ^3) გაფრქვევის მილის სიმაღლის (H,მ), გაფრქვევის მილის დიამეტრის (D,მ) და მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციისგან ($C_კ$, მგ/მ^3) დამოკიდებულებით განისაზღვრება ფორმულით

$$C_g=30C_კ(H+D)/D,$$

სადაც მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაციის მნიშვნელობა ($C_კ$,) აიღება ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილის მიხედვით:

მავნე ნივთიერების დასახელება და მისი ქიმიური ფორმულა	მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, მგ/მ^3
არაორგანული მტვერი, გოგირდის დიოქსიდი SO_2	0,5
ჭვარტლი (ნახშირბადი შავი) C	0,15
აზოტის დიოქსიდი NO_2	0,2
ნახშირბადის ოქსიდი CO, ეთილის სპირტი (ეთანოლი) C_2H_6O	5,0
ნახშირწყალბადები (ჯამურად) CxHy, მეთილის სპირტი (მეთანოლი) CH_4O	1,0
ვანადიუმის ხუთჟანგი (დი-ვანადიუმ-პენდოქსიდი) V_2O_5, სპილენძის ოქსიდი CuO	0,002
ბენზოლი C_6H_6	1,5
ტოლუოლი C_7H_8	0,6
ამიაკი NH3, ქსილოლი C_8H_{10}, ქლორწყალბადმჟავა (ჰიდროქლორიდი)HCI, ძმარმჟავა $C_2H_4O_2$	0,2
გოგირდწყალბადი H_2S	0,008
კალას ოქსიდი SnO და კალას დიოქსიდი SnO_2, მოლიბდენი Mo და მისი ნაერთები MoA, ფტორწყალბადი (ჰიდროფტორიდი)HF	0,02
თუთიის ოქსიდი ZnO	0,05
ფორმალდეჰიდი CH_2O	0,035
დარიშხანი As და მისი ნაერთები AsA	0,003
ალუმინის ოქსიდი AI O , მანგანუმი Mn და მისი ნაერთები MnA, ფენოლი	

2 3 C_6H_6O, ციანწყალბადმჟავა (ჰიდროციანიდი) HCN	0,01
ვერცხლისწყალი Hg და მისი ნაერთები HgA, კადმიუმის ნაერთები CdA	0,0003
ქრომის (VI)-ის ნაერთები CrA	0,0015
ბენზაპირენი $C_{20}H_{12}$	0,000001
აზოტმჟავა HNO_3, მაგნიუმის ოქსიდი MgO	0,4
აცეტონი (პროპან-2-ონი) C_3H_6O	0,35
სკიპიდარი	2,0
გოგირდმჟავა H_2SO_4	0,3
ეთილმერკაპტანი (ეთანთიოლი) C_2H_6S, ბუნებრივი მერკაპტანების ნარევი	0,00005
მეთილმერკაპტანი (მეთანთიოლი) CH_4S	0,0001
რკინის ოქსიდი Fe_2O_3, FeO	0,04
ტყვია Pb და მისი ნაერთები PbA, ნიკელი Ni და ნიკელის ოქსიდი NiO, კობალტის ოქსიდი CoO	0,001

6. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ სტაციონარულ ობიექტში რამდენიმე გაფრქვევის მილის არსებობის შემთხვევაში და ამავე დროს ორი ან ორზე მეტი მათგანიდან ერთი და იმავე სახეობის მავნე ნივთიერების გაფრქვევისას, მე-5 პუნქტის თანახმად, ცალკეულ გაფრქვევის მილში განსაზღვრული მავნე ნივთიერების გაფრქვევის მაქსიმალური მნიშვნელობა მცირდება იმდენჯერ, რამდენი გაფრქვევის მილიცაა იმავე სახეობის მავნე ნივთიერების გაფრქვევით სტაციონარულ ობიექტში.

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის დადგენილება №244 – ვებგვერდი, 24.05.2018წ.

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ტექნიკური პირობების ფორმა

შეთანხმებულია

_____

_____

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

_____

(უფლებამოსილი პირის ხელმოწერა)

რეგისტრაციის №----

„_____“ „_____“ 20____ წ.

პირობების მოქმედების ვადა _____ 20____ წლამდე

ივსება სამინისტროს მიერ

ტექნიკური პირობები

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებაზე

20___ 20___ წლების პერიოდისათვის

წყალმოსარგებლის დასახელება: _____

წყალმოსარგებლის იურიდიული მისამართი და ტელეფონის ნომერი:

_____

საქმიანობის განხორციელების ფაქტობრივი ადგილმდებარეობა, მისამართი:

_____

წყალსარგებლობის მიზანი: _____

გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა წელიწადში (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

სამუშაო დღეების რაოდენობა/წელიწადში:_____

სამუშაო საათების რაოდენობა/დღეში: _____

ზედაპირული წყლის ობიექტი, საიდანაც ხდება წყლის ამოღება _____

წყლის ამოღების წერტილი (GPS კოორდინატები): _____

ამოღებული წყლის რაოდენობა: _____

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში

ზედაპირული წყლის ობიექტი, სადაც ხდება გამოყენებული წყლის ჩაშვება: _____

_____

ჩაშვების წერტილი (GPS კოორდინატები): _____

ჩაშვებული წყლის რაოდენობა: _____

ათასი კუბ.მ

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ წელიწადში

წყალმოსარგებლე ობიექტის პასუხისმგებელი პირი

---------- ----------

---------- ----------

(თანამდებობა) (სახელი და გვარი)

„----------“ „----------“

20---წ.

---------- ბ.ა.

(ხელმოწერა)

დანართი №5

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 მარტის დადგენილება №105 – ვებგვერდი, 12.03.2015წ.

საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურების

ტექნიკური რეგლამენტი

1. ტექნიკური რეგლამენტის მიზანია, შავი ზღვის წყლებში წყლის მავნე და პათოგენური ორგანიზმების მოხვედრის მინიმუმამდე დაყვანისათვის საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ ზღვაში, განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე გემებიდან ბალასტური წყლების მართვის პროცედურებისა და პროცესების განსაზღვრა.

2. ამ დანართში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) იზოლირებული ბალასტური წყლები – ბალასტური წყლები, რომლებიც მიღებულია საწვავისა და ტვირთის სისტემისაგან სრულად იზოლირებულ, გადასატანად გამიზნულ გემის ტანკში (ტანკებში);

ბ) ბალასტური წყლები – წყლები, რომლებიც გადააქვს გემს და რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს გემის წონასწორობის, სიმყარისა და კონსტრუქციული მთლიანობის შენარჩუნება, განსაკუთრებით, როდესაც გემი არ არის დატვირთული;

გ) თავისუფალი პრაქტიკის მიღება – გემის მიერ საბაჟო, სანიტარიული და სასაზღვრო კონტროლის გავლა;

დ) ,,ყვავილობა“ - ფიტოპლანქტონის მასიური განვითარება.

3. ტერმინებს, რომლებიც ამ დანართში არ არის განმარტებული, აქვს საქართველოს საზღვაო კოდექსით, საქართველოს სხვა კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით, ასევე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

4. გემის კაპიტანი, რომელსაც გემზე გააჩნია იზოლირებული ბალასტური წყლები და საქართველოს ნავსადგურებში მიემართება სატვირთო ოპერაციების ჩასატარებლად, ვალდებულია, გემის მომსახურე

სააგენტო კომპანიის მეშვეობით, აცნობოს ნავსადგურის კაპიტნის სამსახურს გემზე არსებული ბალასტური წყლების რაოდენობა და წარუდგინოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის A-868(20) რეზოლუციის №1 დამატებითა და სხვა შესაბამისი რეზოლუციებით გათვალისწინებული ,,ბალასტური წყლების შეტყობინების ფორმა“.

5. ღია ზღვაში იზოლირებული ბალასტური წყლების გამოცვლისას, საქართველოს ნავსადგურებში მომავალმა გემებმა უნდა მოახდინონ ბალასტური წყლების შეცვლა საქართველოს სანაპიროებიდან 50-მილიან ზონაში შემოსვლამდე, სადაც სიღრმეები არ უნდა იყოს 200 მეტრზე ნაკლები.

6. ტანკერს, რომელსაც გადააქვს იზოლირებული ბალასტური წყლები, უნდა გააჩნდეს იზოლირებული ბალასტური წყლების მართვის გეგმა, წყლის მავნე და პათოგენური ორგანიზმების გადატანის მინიმუმამდე დაყვანის უზრუნველსაყოფად. გეგმის დანიშნულებაა, იზოლირებული ბალასტური წყლების მართვის პროცედურების უსაფრთხო და ეფექტური უზრუნველყოფა.

7. იზოლირებული ბალასტური წყლების მართვის გეგმა უნდა იყოს ჩართული გემის ექსპლუატაციის დოკუმენტაციაში, ითვალისწინებდეს გემიდან იზოლირებული ბალასტური წყლების ჩაშვების ან ჩაბარების პროცედურებს, მონაცემებს მათ დასამუშავებელ მოწყობილობებზე, სინჯების აღების წერტილების კოორდინატებს და სხვა.

8. იზოლირებული ბალასტური წყლების აღებისას ან ჩაშვებისას რეგისტრირდება: წყლის აღების თარიღი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, გემის ტანკები, იზოლირებული ბალასტური წყლის ტემპერატურა და მარილიანობა, ასევე ჩატვირთული ან ჩაშვებული იზოლირებული ბალასტური წყლის რაოდენობა.

9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამსახური (შემდგომში – კონვენციური სამსახური) გემის ინსპექტირების დროს ვალდებულია, გადაამოწმოს ამ დანართის მე-8 პუნქტში აღნიშნული მონაცემები.

10. თუ საქართველოს ნავსადგურებში მომავალი გემი ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერ ასრულებს უამინდობის, ზღვის მდგომარეობის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო, კაპიტანი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ კონვენციურ სამსახურს და ნავსადგურის სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სამსახურს.

11. გემების მიერ იზოლირებული ბალასტური წყლების მიღებისას უნდა გატარდეს ღონისძიებები წყლის პოტენციურად მავნე და პათოგენური ორგანიზმების და იმ ლექების მიღების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შეიცავენ ასეთ ორგანიზმებს. იზოლირებული ბალასტური წყლის მიღება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი, ან შესაძლებლობის შემთხვევაში, გამორიცხული ზღვის ისეთ რაიონებში,სადაც წყლის მავნე და პათოგენური ორგანიზმების პოპულაციების უეცარი მასიური გამოვლენა ან წყლის ყვავილობა შეიმჩნევა, ასევე, ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილების, ან ფსკერდამაღრმავებელი სამუშაოების წარმოების სიახლოვეს, ან თხელწყლიან ადგილებში და ისეთ შემთხვევებში, როდესაც წევის ხრახნმა შეიძლება გამოიწვიოს ფსკერული ლექის დაძვრა.

12. იზოლირებული ბალასტური წყლების მართვის გეგმის თანახმად, იზოლირებული ბალასტური წყლების ტანკების გაწმენდა, ლექის მოცილების მიზნით, ტარდება ღია ზღვაში, შესაძლებლობის შემთხვევაში, ხოლო ნავსადგურში – კონტროლირებად პირობებში ან მშრალ დოკზე.

13. გემის მიერ უსაფრთხო სატვირთო ოპერაციების გასაადვილებლად, ერთსა და იმავე ნავსადგურში იზოლირებული ბალასტური წყლის მიღების და ჩაშვების აუცილებლობის შემთხვევაში, მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი სხვა ნავსადგურში აღებული ზედმეტი იზოლირებული ბალასტური წყლის ჩაშვება.

14. იზოლირებული ბალასტური წყლის შეცვლის ან მისი დამუშავების შეუძლებლობის შემთხვევაში, იზოლირებული ბალასტური წყლები ინახება ტანკებში, ხოლო თუ შენახვა შეუძლებელია, გემმა საგანგებო სიტუაციებში უნდა ჩაუშვას იზოლირებული ბალასტური წყლის მინიმალურად აუცილებელი მოცულობა ნავსადგურის კაპიტნის თანხმობით და კონვენციური სამსახურის ზედამხედველობით.

15. ნავსადგურში შემოსული გემი უფლებამოსილია, ნავსადგურის სათანადო ტერმინალის სამსახურის მიერ იზოლირებული ბალასტური წყლების და ლექების მიმღები ნაგებობების შეთავაზების შემთხვევაში, გამოიყენოს ამგვარი ნაგებობები.

16. იზოლირებული ბალასტური წყლების მართვის პროცედურები აუცილებლად უნდა იყოს ეფექტური და ასევე, ეკოლოგიურად უსაფრთხო, პრაქტიკულად განხორციელებადი და მიმართული გემის შეყოვნებისა და დანახარჯების მინიმუმამდე დასაყვანად.

17. საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურებთან დაკავშირებით, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ფუნქციებია:

ა) საქართველოს საზღვაო კოდექსის, „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, „წყლის შესახებ“ და „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციისა და მარეგულირებელი ფუნქციების განხორციელება;

ბ) ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის საქმიანობის განხორციელება საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის A 787(19) და A882(21) რეზოლუციების საფუძველზე;

გ) გემის ეკიპაჟის წევრების ცოდნის დონის შემოწმება;

დ) ნაოსნობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნა ზღვაში ბალასტური წყლების შეცვლის პროცესში;

ე) ინფორმაციის მიღება-გადაცემა დაინტერესებული სამსახურებისათვის;

ვ) ნავსადგურში შემავალი გემისათვის, ბალასტური წყლების მართვასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესახებ, დეტალური მონაცემების წარდგენა.

18. საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურებთან დაკავშირებით, საქართველოს საზღვაო ნავსადგურის ფუნქციებია:

ა) „საქართველოს საზღვაო კოდექსის“ შესაბამისად, შემოსული გემების ტანკებიდან ბალასტის ლექის ეკოლოგიურად უსაფრთხო მოცილების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მიმღები და გადამამუშავებელი ნაგებობებით;

ბ) ბალასტური წყლის მიღებისათვის, შენობა-ნაგებობათა გამოყოფა და გაწმენდის ორგანიზაციის უზრუნველყოფა;

გ) გემებისათვის ინფორმაციის წარდგენა ბალასტის შეცვლის ალტერნატიული ზონების ადგილმდებარეობებისა და მათი გამოყენების პირობების შესახებ, აგრეთვე საგანგებო სიტუაციებისას ნავსადგურში განსახორციელებელი ნებისმიერი სხვა ღონისძიების შესახებ.

19. საქართველოში ბალასტური წყლების მართვის პროცედურებთან დაკავშირებით, კონვენციური სამსახურის ფუნქციებია:

ა) ბალასტური წყლების ზღვაში ჩაშვებასა და მართვაზე სახელმწიფო კონტროლი. გემებიდან და ბალასტური წყლების გამწმენდი ნაგებობებიდან საქართველოს შიდა საზღვაო წყლებში, ტერიტორიულ წყლებში, ეკონომიკურ ზონასა და კონტინენტურ შელფზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, ბალასტთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმის დარღვევისას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ სარჩელის სასამართლოში წარდგენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმთან ერთად;

ბ) ბალასტური წყლების და ლექების სინჯების აღება, ასევე, ლაბორატორიული ანალიზების ჩატარება;

გ) კვლევების ჩატარების მიზნით, სინჯების აღების შესახებ, შესაძლებლად მოკლე ვადაში აცნობოს გემის ხელმძღვანელობას;

დ) აცნობოს გემის კაპიტანს, ან პასუხისმგებელ პირს, სინჯის აღების მიზანი (ბალასტური წყლებისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, მონიტორინგი, მეცნიერული კვლევა და სხვა); ანალიზების შედეგები წარუდგინოს გემის კაპიტანს მისი მოთხოვნის საფუძველზე.

20. ბალასტური წყლების და ლექების სინჯების აღების, ასევე, ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების წარმოებისას გემის შეჩერება-შეყოვნების ვადები მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი.

21. გემის კაპიტანი ვალდებულია, გაუწიოს გონივრული დახმარება სინჯის აღების პროცედურებს, რომელიც შეიძლება ითვალისწინებდეს მეთაურთა და რიგითი შემადგენლობის პირების, ჩანაწერების და სხვა დაწვრილებითი ცნობების წარდგენას, ბალასტური სისტემების და სინჯების აღების წერტილების განლაგების შესახებ ინფორმაციას.

22. აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი არ ვრცელდება სამხედრო და სამხედრო-სატრანსპორტო დანიშნულების გემებზე. ტექნიკური რეგლამენტის მოქმედების არეალია საქართველოს შიდა საზღვაო წყლები, მიმდებარე ზონა, ტერიტორიული წყლები, ეკონომიკური ზონა და კონტინენტური შელფი.

23. ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.